

ხელშეკრულება

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე

5-- მაისი, 2017 წ.

ერთის მხრივ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) რექტორის, მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, კავშირი „საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“ (შემდგომში ასოციაცია) მისი დირექტორის, ნინო ცინცაძის სახით

შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს პორტიჯის ასოციაცია ითანამშრომლებს უნივერსიტეტის განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ცენტრთან „ბავშვთა ადრეული ჩარევისა და ინკლუზიური განათლების ცენტრი“.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მხარეებს შორის არსებულ სპეციალურ შეთანხმებათა და საშტატო და საბიუჯეტო შესაძლებლობებთან დაკავშირებული შეზღუდვების გათვალისწინებით, კავშირი ასოციაცია უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს პორტიჯის ასოციაცია მეთოდურ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტის „ბავშვთა ადრეული ჩარევისა და ინკლუზიური განათლების“ ცენტრს და ცენტრის პერსონალისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გამართავს ტრენინგებს უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გამოყენებით.

ბ) უნივერსიტეტის სტუდენტები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას საქართველოს პორტიჯის ასოციაციაში.

გ) საქართველოს პორტიჯის ასოციაცია უსასყიდლოდ შეუწყობს ხელს ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

თავის მხრივ, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს საქართველოს პორტიჯის ასოციაცია I კორპუსის N127 აუდიტორიით, სადაც განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები გაივლიან ადრეული ჩარევის პროგრამას და სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ პრაქტიკულ მუშაობაში და ასევე სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება გაიარონ ადრეული სკოლამდელი განათლების სასერთიფიკატო კურსები.

ბ) ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის გარეშე, არ მოახდინოს ცენტრის ლიკვიდაცია და არ მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება.

გ) მიზნობრივად გამოიყენოს ასოციაციის მიერ ცენტრის ტერიტორიაზე განთავსებული ფასეულობები და იკისროს პასუხისმგებლობა მათ დაცვასა და შენახვაზე.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- ა) ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელმოწერილდან ხუთი წლის განმავლობაში;
- ბ) ამ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4. დასკვნითი დებულებები

- ა) ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს;
- ბ) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ექვემდებარება სასამართლო განხილვას.

მხარეთა რეკვიზიტები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N106

საიდენტიფიკაციო კოდი: 224066977

მიმღების ბანკი -სახელმწიფო ხაზინა


ხაზინის ერთიანი ანგარიში N32040509

რექტორი, პროფესორი



მერაბ ბერიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი


როინ თათუშვილი



„საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“


ქ. თბილისი, თამარაშვილი N9

საიდენტიფიკაციო კოდი: 204996193

სს „თბილისი ბანკი“

IBAN: GE38TB7275336080100001

დირექტორი



ნინო ცინცაძე



ნინო ცინცაძე

მერაბ ბერიძე

როინ თათუშვილი